პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 206 (5236)
1974 წ. 17 ოქტომბერი, ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## იმედი

ასე შეიძლება ვუწოდოთ საქართველოს მრგვალ სტენდზე მსროლელთა გუნდს, რომელიც გაისად სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში იასპარეზებს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ახლა ამ სახეობაში ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტრიო მსოფლიო ჩემპიონის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ტ. ჟღენტის, სპორტის ოსტატ თ. იმნაიშვილისა (ორივე — „ლოკომოტივი") და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ღ. მატოიანის („განთიადი") შემადგენლობით. მარტო ის ფაქტი, რომ ჟღენტი და იმნაიშვილი შვეიცარიაში ახლახან დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე საბჭოთა ნაკრებში ჩაირიცხნენ, მრავლის მთქმელია.

ამ სამეულმა თავი ამ დღეებში თბილისის არმიის სპორტკლუბის სასროლეთზე გამართულ საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადაშიც გამოიჩინა. იმნაიშვილი სამივე დღეს კარგად გამოვიდა, 200 შესაძლებლიდან 195 ქულა მოაგროვა და ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. მატოიანმა 191 ქულა მოაგროვა, ჟღენტმა — 189.

მსოფლიო ჩემპიონისგან თითქოს მეტი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ჟღენტის ამ მარცხს ობიექტური მიზეზი ჰქონდა. ისეთი დიდი შეჯიბრება, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატია, მონაწილისგან მაქსიმალურ ენერგიას და ნერვულ დაძაბულობას მოითხოვს, ასპარეზობის შემდეგ კი სპორტსმენს ერთგვარი მოდუნების პერიოდი ეწყება. ჟღენტს ეს პერიოდი სწორედ პროფკავშირთა სპარტაკიადის დროს ჰქონდა.

### საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

შეჯიბრების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონს ვთხოვეთ „ლელოს" მკითხველებისთვის ორიოდე სიტყვა ეთქვა შვეიცარიაში სსრ კავშირის მრგვალ სტენდზე მსროლელთა ნაკრების წევრების შედარებითი წარუმატებლობის მიზეზებზე.

— ჩვენი გუნდი ახალი მწვრთნელის პეტროვის ხელმძღვანელობით ჩემპიონატისთვის შესანიშნავად მოემზადა, — თქვა ტარიელმა, — ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ შვეიცარიაში გუნდურ და პირად შეჯიბრებებში გავიმარჯვებდით, მაგრამ სწორედ პეტროვის შეცდომამ შეგვიშალა ხელი: მწვრთნელმა შეჯიბრების ადგილზე გუნდის რამდენიმე დღით ადრე ჩასვლა ზედმეტად მიიჩნია. ჩემპიონატის მასპინძლებს ასპარეზობის წინა დღეს ვეწვიეთ და ვარჯიშის ჩატარება ვეღარ მოვასწარით. ჩემზე, მაგალითად, ამან ძალიან იმოქმედა. სტენდი უჩვეულო ადგილზეა აგებული — ირგვლივ ტყე აკრავს. ამგვარ სასროლეთს მიჩვევა უნდა, ჩემპიონატის ცეცხლის ხაზზე გასვლამდე თუნდაც 100-100 სამიზნისთვის რომ გვესროლა, ყველა გაცილებით უკეთეს შედეგებს მივაღწევდით.

გუნდურ ტურნირში პოლონელებს მსოფლიო ჩემპიონობა მხოლოდ იმის წყალობით გამოვგლიჯეთ ხელიდან, რომ ბოლო სერიაში მე ოცდახუთივე სამიზნე გავტეხე, მათმა ლიდერმა კი — 24. ამით საერთო ჯამში ორივე კოლექტივს თანაბარი ქულები დაუგროვდა და, ვინაიდან ბოლო სერიაში ქულით უკეთესი შედეგი გვქონდა, ოქროს მედლებიც ჩვენ გვხვდა.

პირად პირველობაშიც ზემოაღნიშნული მიზეზით ჩამოვრჩი. არადა ახლა, როცა ჩემს იმდროინდელ შესაძლებლობას ვაანალიზებ, გული მწყდება, რომ თუნდაც ერთი დღით ადრე ჩაუსვლელობის გამო მედალი დავკარგე.

● რას გვეტყვით სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში რესპუბლიკის გუნდის შანსების შესახებ?

— მრგვალ სტენდზე მსროლელებმა, თუ ეს ფორმა შევინარჩუნეთ, გუნდური პირველობა უნდა მოვიპოვოთ, ადგილიდან მსროლელებს კი გაუჭირდებათ. მიზეზს ჩვენი მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზურაბ მაჩხანელი გეტყვით.

— მრგვალ სტენდზე მოასპარეზეები ბოლო წლებში მართლა გვჯობნიან. ვფიქრობთ, სპარტაკიადამდე მდგომარეობას ჩვენც გამოვასწორებთ. თუ სოხუმელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კარლო დარასელია („განთიადი") მოინდომებს და სპორტულ ფორმას აღიდგენს, უხეიროდ არც ადგილიდან მსროლელთა კოლექტივი იასპარეზებს, — გვითხრა მაჩხანელმა.

არ ვიცით, ჩვენი ადგილიდან მსროლელები ხალხთა სპარტაკიადისთვის როგორ მოემზადებიან, რესპუბლიკის პროფკავშირთა სპარტაკიადაში კი ამ სახეობის წარმომადგენლები მართლაც ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. ერთადერთი, ვინც შედარებით დამაკმაყოფილებელი შედეგი მოიპოვა, სწორედ ისევ მაჩხანელი გამოდგა. განსაკუთრებით კარგად მან მეორე ას სამიზნეს ესროლა, როცა უვნებლად მხოლოდ სამი სამიზნე გადაურჩა. მაჩხანელმა („ლოკომოტივი") საბოლოოდ 190 ქულა მოაგროვა 200-დან და 7 ქულით აჯობა მეორე პრიზიორს, თანაგუნდელ სპორტის ოსტატს ვ. ალავერდოვს. III ადგილი ერგო ქუთაისის მე-19 სკოლის კურსდამთავრებულს, 17 წლის პირველთანრიგოსანს ლ. მიზანდარს, რომელმაც, ისევე როგორც მაჩხანელმა, პირველი 100 გასროლით 93 ქულა მოაგროვა. მომდევნო 50 სამიზნეს მან კიდევ უფრო უკეთ ესროლა, მაგრამ იმის გამო, რომ გამოცდილება აკლია და თოფიც კარგად მორგებული არ აქვს, დაშავდა და ბოლო ორ სერიაში მაჩვენებლები გააუარესა. და მაინც, მიზანდარმა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, ეს ჭაბუკი ქუთაისის მონკავშირში ზ. იაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა „ლოკომოტივი" — 757 ქულა 800-დან. II ადგილზეა „განთიადი" — 673, III — „ვოდნიკი" — 615.

ო. გელაშვილი.



## ფირმის მეთაურის საჩუქარი
## 18 წლის იუბილარი

თბილისში სტუმრად არის იტალიის ერთ-ერთი ველოსიპედების ფირმის მეთაური პაოლო კამპანიოლო. უცხოელი სტუმარი უდიდეს ინტერესს იჩენს ჩვენს დედაქალაქში მიმდინარე ველოსიპედისტთა ტურნირისადმი, კომენტარს უკეთებს ცალკეულ რბოლებს და აღტაცებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ თბილისში ნამდვილი „საველოსიპედო დღეები" დგას. მაგრამ კამპანიოლო, როგორც კერძო ფირმის მეთაური, ცხადია, ცდილობს პოპულარიზაცია გაუწიოს თავის საქონელს. გუშინწინ მან ველოსიპედი აჩუქა საბჭოთა სპორტსმენს ბ. ისაევს. ეს უკანასკნელი ველოსპორტის საკავშირო ფედერაციამ მიმდინარე სეზონის საუკეთესო მრბოლელად დაასახელა საგზატკეცილო ველოსპორტში. კამპანიოლომ ახალი წარმატებები უსურვა საბჭოთა სპორტსმენს.

შეჯიბრების დროს კი ფირმის მეთაური, რა თქმა უნდა, თანამემამულეებს გულშემატკივრობს. იტალიელი ველოსიპედისტები ჩეხოსლოვაკიელებთან, პოლონელებთან და ბულგარელებთან ერთად მხოლოდ წყვილთა რბოლებში გამოდიან და ჯერჯერობით განსაკუთრებულით არაფრით ბრწყინავენ. გუშინწინ ჩატარებულმა V და VI ეტაპებმა კიდევ უფრო განამტკიცეს ლიდერთა პოზიციები: რბოლას სათავეში უდგას ლენინგრადის წყვილი (ა. დენისოვი და ნ. კრასკოვი), რომელსაც 76 ქულა აქვს.

საგრძნობლად გამოიკეთეს მდგომარეობა საქართველოს წარმომადგენლებმა ვ. ივანოვმა და ვ. ფეტისოვმა. VI ეტაპის შემდეგ ისინი 28 ქულით VI ადგილზე არიან.

სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე დღეს იუბილარად გრძნობდა თავს 18 წლის უკრაინელი ქალიშვილი ა. ლუტინა. ამ უდავოდ ნიჭიერმა ველოსიპედისტმა იუნიორთა ორი საკავშირო და ერთიც უკრაინის რეკორდი გააუმჯობესა: 3 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მან აჩვენა 4.07,97, ორკილომეტრიან დისტანციაზე კი — 2.48,17. ეს მოხდა ერთ-ერთ ნახევარფინალურ სერიაში. მერე ლუტინამ სტარტი აიღო 1 კილომეტრზე გიტში და თავისი რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა — 1.22,39.

მაგრამ თვითონ იუბილარს რომ ჰკითხოთ, იგი ყველაზე მეტად გაახარა ინდივიდუალური რბოლის ფინალში დაკავებულმა II ადგილმა. აქ ახალგაზრდა გოგონამ გამოცდილ ველოსიპედისტებთან ბრძოლაში დაამტკიცა თავისი ძალა და შესაძლებლობანი. საინტერესოა ითქვას, რომ ფინალში ლუტინამ უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე რეკორდის დამყარებისას (4.06,0), მაგრამ ეს შედეგი ოფიციალურ სარეკორდო ხელსაწყოებს არ აღურიცხავთ და ამიტომაც არ გაფორმდა, როგორც საკავშირო მიღწევა.

სსრ კავშირის თასი ამ სახეობაში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ნ. მაშეროვამ მოიგო — 4.05,0, ლატვიელ გ. ალექსანდროვას კი III ადგილი ერგო — 4.08,6.

საინტერესო იყო იუნიორთა შეჯიბრება 1 კილომეტრზე გიტში. აქაც ყველას რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტმა ო. გუდიმმა აჯობა — 1.10,17. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ჯერჯერობით ყველაზე უკეთ რუსეთის ველოსიპედისტები გამოდიან.

ნ. ახვლედიანი.

• • •

სურათზე: წყვილთა რბოლის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



## ტრადიციას არ ვღალატობთ

ახალქალაქის საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივში ტრადიციად იქცა ტურისტული ლაშქრობების მოწყობა ყველა მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად. ტრადიციას არც ამჯერად ვუღალატეთ და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავის აღსანიშნავად მოვაწყვეთ სამდღიანი ლაშქრობა მარშრუტით: ახალქალაქი — ერთაწმინდა — ცხავერი — გოსტიბე — გოგოთი — ნამტვრევიანი — ქსილისის გზა — კლდეკარი — ახალქალაქი.

გზადაგზა გავეცანით ჩვენი და მეზობელი თეთრი წყაროს, გორისა და წალკის რაიონების ბუნებას, ვესაუბრეთ ახალქალაქისა და მეტეხის კოლმეურნეობების მწყემსებს.

ლაშქრობის მონაწილე 32 მოსწავლემ შეისწავლა ტურიზმის ხერხები და ჩააბარა მშდ კომპლექსის სათანადო საფეხურის ნორმატივები. ყველა მათგანმა შეასრულა სსრ კავშირის ტურისტის სამკერდე ნიშნის მოთხოვნები. მოსწავლეებს დიდხანს არ დაავიწყდებათ კოცონთან გატარებული საღამოები.

ნ. ბახტაძე,
ახალქალაქის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ლაშქრობის ხელმძღვანელი.

## ახალი ამბავი-74

● ვარშავა, 14 ოქტომბერი. პოლონეთის დედაქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია მასპინძელი ქვეყნისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოკრივეთა ნაკრები გუნდების ამხანაგურმა მატჩმა. აშშ-ს ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობამ ჰავანის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შესამჩნევად განაახლა ნაკრების შემადგენლობა და ამან კარგი ნაყოფიც გამოიღო: მწვავე ბრძოლის შემდეგ სტუმრებმა წარმატებას მიაღწიეს ანგარიშით 6:5.

● ჰონოლულუ, 15 ოქტომბერი. ავსტრიელი აფროსანი რობერტ ესენიგი მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ახალ ოლიმპიურ კლასში — „კატამარან ტორნადოში". ამჯერად მან ვაიკიკის აკვატორიუმში გამართული შვიდი რბოლის სერიაში 8 ქვეყნის წარმომადგენელ 40-ზე მეტ მეტოქეს აჯობა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ესენიგმა პირველად ორი წლის წინათ მოიპოვა.

● კალინინგრადი, 15 ოქტომბერი. აქ მიმდინარეობს რუსულ შაშში საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. 10 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ახალგაზრდა სამარყანდელი ოსტატი მ. ფაზილოვი და გამოცდილი მოშაშე, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი ა. პლაკხინი (მინსკი) — 7-7 ქულა. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება რსფსრ-ს ჩემპიონი, ოსტატი ე. კუკლეევი, მაგრამ მას ერთი პარტიით ნაკლები აქვს ნათამაშები. რიგელ ვ. ვიგმანს 6,5 ქულა აქვს 10-დან. ამ კვარტეტს ცოტათი ჩამორჩება ბაქოელი დიდოსტატი ი. არუსტამოვი — 5,5 ქულა 8-დან. შეჯიბრების ბოლომდე 9 ტური დარჩა.

● მეხიკო, 15 ოქტომბერი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა უკვე მოიპოვეს მექსიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატების ნახევარფინალური ტურნირების საგზურები: წინასწარი ასპარეზობის მეორე დღეს საბჭოთა ქალებმა ანგარიშით 3:1 (15:4, 15:2, 16:18, 15:5) დაამარცხეს ჰოლანდიის ნაკრები, ხოლო ვაჟთა გუნდმა ეგვიპტელებს აჯობა — 3:0 (15:9, 15:5, 15:6).




# ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანა

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის ტექნიკური სახეობები პირველად 1967 წელს შეიტანეს. მაშინ, IV სპარტაკიადაში საქართველოს დელეგაციამ V ადგილი მოიპოვა და ამ წარმატებაში ტექნიკური სახეობების წარმომადგენლებს დიდი წვლილი მიუძღვით. შემდეგ სპარტაკიადებში დოსააფელებს მონაწილეობა აღარ მიუღიათ. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა საერთო კომპლექსურ ჩათვლაში ერთი საფეხურით უკან დაიხიეს.

გაისად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება შეჯიბრებები ხალხთა VI სპარტაკიადისა, რომელიც ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს ეძღვნება. ამ ასპარეზობაში სპორტის ტექნიკური სახეობების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას. ეს სიმბოლურიც იქნება,ვინაიდან დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში ტექნიკური სახეობების წარმომადგენლებმა — პარაშუტისტებმა, მფრინავებმა, მოტოციკლისტებმა, რადისტებმა, ავტომობილისტებმა და სხვებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ახლახან „ლელოს" კორესპონდენტმა ინახულა საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სამხედრო-ტექნიკური მომზადებისა და სპორტის დარგში ბ. შვანგირაძე, რომელიც მას ესაუბრა სპარტაკიადისთვის ჩვენი რესპუბლიკის დოსააფელთა მზადებაზე.

ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

— საქართველოს დოსააფი სსრ კავშირში ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზაციაა. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ 1973 წლის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის დოსააფი II ადგილზე გავიდა. ეს ბევრს გვავალებს. ჯამრავ სხვა საზრუნავს შორის აგერ უკვე მეორე წელია ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას სპარტაკიადაში სპორტის ტექნიკურ სახეობებში წარმატების მოპოვებისთვის ბრძოლა წარმოადგენს. ამ ამოცანის გადაწყვეტისთვის მზადება სპარტაკიადის დებულების მიღებისთანავე გავშალეთ. პასუხისმგებელ მუშაკებს გავუნაწილეთ ფუნქციები, ცალკეულ სახეობათა ფედერაციებმა კონკრეტული ამოცანები შეიმუშავეს.

● **რომელ სახეობათა ფედერაციების გამოყოფა შეიძლება?**

— პირველ ყოვლისა საავტომობილო სპორტის ფედერაციის კარგი მუშაობა უნდა აღვნიშნოთ. ფედერაცია, რომელსაც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრი თუიმურაზ დავითაშვილი ხელმძღვანელობს, დიდ ყურადღებას აქცევს გუნდების სათანადოდ აღჭურვასა და მომზადებას.

რადიოსპორტის ფედერაციამაც შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა. ფედერაციას მხარში ამოუდგა კავშირგაბმულობის სამინისტრო, რომელმაც ივალდებულა ნაკრებს სათანადო მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს.

ბოლო წლებში საავიაციო სპორტში მნიშვნელოვნად ჩამოვრჩით. წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებაში ამ სახეობის კომპლექსურ ჩათვლაში X ადგილზე გავედით, ამ სახეობის ფედერაციამ ალბათ ესეც გაითვალისწინა, როცა მდგომარეობის გამოსწორებისთვის ქმედითი ღონისძიება დასახა და მის განხორციელებას შეუდგა.

● **რაში გამოიხატება ეს ქმედითი ღონისძიებანი და მათი განხორციელებისთვის ბრძოლა?**

— სპარტაკიადის პროგრამაში საავიაციო სპორტი ოთხი სახეობით იქნება წარმოდგენილი. საპარაშუტო სპორტში საგანგაშო არაფერი გვაქვს. წლეულს ჩვენმა ქალთა გუნდმა საკავშირო პირველობაში V ადგილი დაიკავა. ვვარაუდობთ, რომ სპარტაკიადაში ჩვენი მთავარი მეტოქენი რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის გუნდები იქნებიან. გვყავს კარგი სპორტსმენები, თბილისელები — საბჭოთა კავშირის ექსგზის ჩემპიონი ბონდარენკო, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი უშმაევი, აგრეთვე, ლოგინოვა, კაკალაშვილი, გოგიშვილი და სხვები.

სათვითმფრინავო სპორტში კი აშკარად გვიჭირს — წლევანდლამდე გუნდიც არ გვყოლია. ახლახან შევქმენით გუნდი (2 ვაჟი, 1 ქალი), რომელიც პირველად სწორედ სპარტაკიადაში ჩააბარებს გამოცდას.

სამფეულმფრენო სპორტში საქართველოს გუნდმა წლეულს ქვეყნის მასშტაბით III ადგილი მოიპოვა. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სპარტაკიადაში უფრო მაღალ ადგილს დავიკავებთ.

ავიამოდელიზმში კი პირდაპირ სავალალო მდგომარეობაა. XVI ადგილი ჩვენი რესპუბლიკის შესაძლებლობებს არ შეესაბამება. წლევანდელი მარცხი ნაკრების მწვრთნელის ტოკარევის დაუდევრობამ გამოიწვია. ეს ნიჭიერი სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრებში მსოფლიო პირველობისთვის ემზადებოდა, ძირითადად თვითმფრინავის საკუთარი მოდელის სრულყოფისთვის ზრუნავდა და კოლექტივისთვის დრო აღარ დარჩა. ტოკარევი სექციის ხელმძღვანელობიდან გავანთავისუფლეთ.

● **სპარტაკიადაში რა სახეობებში გაქვთ წარმატების იმედი?**

— წლევანდელი საკავშირო ტურნირები (შეჯიბრებები 44 სახეობაში გაიმართა) გვაფიქრებინებს, რომ სამფეულმფრენო სპორტში, ავტომრავალჭიდში, მოტომრავალჭიდში (III ადგილები), საზღვაო მოდელიზმში (II), კარტინგში (IV), ავტორალიში, საზღვაო მრავალჭიდსა და რადიოსპორტში (V ადგილები) ჩვენი გუნდები კარგად უნდა გამოვიდნენ. ორმოცდაოთხივე სახეობის შედეგები როცა შეჯამდა, საქართველოს კოლექტივი საერთო VI ადგილზე აღმოჩნდა. სპარტაკიადის პროგრამაში 26 სახეობაა, ჩათვლას კი 16 საუკეთესო მაჩვენებლის მიხედვით მივიღებთ. ეს საშუალებას გვაძლევს საერთო ჩათვლაში, სულ ცოტა, V ადგილისთვის ვიბრძოლოთ.

ლელო ინტერვიუ

● **ხელს რა გვიშლის უფრო მაღალი საფეხურის დაკავებაში?**

— აკი მოგახსენეთ, ავიამოდელიზმში ჩამოვრჩით-მეთქი. წლეულს ასევე ვერაფრით გაგვახარეს ავტოკროსის, წყალქვეშ ორიენტირების, საგზაო-ცილო-წრიული მოტორბოლის, სამხედრო-გამოყენებითი მრავალჭიდისა და სხვა სახეობების წარმომადგენლებმა, რომლებმაც XII-XVI ადგილები დაიკავეს. რაც მთავარია, ტექნიკური ბაზა ღარიბია. მაგალითად, საშველი არ დაადგა სოხუმში ჩვენი აუზის წყლის გათბობის სისტემის მოწყობას, გაჭიანურდა დიღომში სასროლეთის, რუსთავში კომპლექსური ბაზის მშენებლობა. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების უმეტესობაში დოსააფს კაპიტალური ტირი არ აქვს. არადა, ეს ბაზები, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მშდ კომპლექსის სროლის ნორმატივების ჩაბარებისთვის აუცილებელია. ბევრ ქალაქსა და რაიონში ავტომოტო და სპორტტექნიკური კლუბები სათანადოდ არ არის აღჭურვილი, პერიფერიები ნაკრები გუნდებისთვის თითქმის არაფერს იძლევიან. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ სპარტაკიადაში საპლანერო სპორტში საერთოდ ვერ გამოვალთ, ხოლო სპიდვეიში უბაზობის გამო კარგი ტრადიციები დავკარგეთ, ნათელი გახდება, რომ ამ დიდ ასპარეზობაში საერთო V ადგილი ჩვენთვის ურიგო არ უნდა იყოს.

● **რა ღონისძიებანი დასახეთ წლევანდელ საკავშირო შეჯიბრებებში გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად?**

— გადამჭრელი ზომები მივიღეთ მდგომარეობის გამოსწორებისთვის განსაკუთრებით იმ სახეობებში, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი. საქართველოს მოტობურთელებმა წლეულს საბჭოთა კავშირის მასშტაბით საერთო VII ადგილი დაიკავეს. ეს ცუდი შედეგი როდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკაში ამ სახეობაში ერთადერთი გუნდი თბილისის „ივერია" იყო. იგი რეზერვს ვერსაიდან ღებულობდა. ნაკლის გამოსწორებისთვის სოხუმში, ქუთაისში, თელავში და სხვაგანაც შეიქმნა მოტობურთელთა გუნდები, რომელთა მონაწილეობითაც პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩავატარეთ. მალე რუსთავში მოტობურთის სპეციალური სტადიონიც გვექნება. გუნდების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ასე რომ, სპარტაკიადისთვის იქნებ კარგი ნაკრები გუნდი შევადგინოთ.

ავტოკროსში წარუმატებლობის მთავარი მიზეზი კოლექტივის არაერთსულოვნება იყო. გასაკვირიც არ არის. ავტოკროსი ჩვენში ახალი ხილია, ახალშექმნილ გუნდში კი ყველას სათანადოდ მომზადება შეუძლებელი იყო. გაისისთვის ეს ნაკლიც გამოსწორდება. რაც შეეხება მოტოკროსს, ამ სახეობაში გუნდის წარუმატებლობას ვერაფრით გავამართლებთ. მოტოკროსს სპეციალური ბაზა არ სჭირდება, მაგრამ, ეტყობა, სპორტსმენებმა და გუნდის ხელმძღვანელობამ მზადების დროს სერიოზული შეცდომები დაუშვეს.



● **როდის დადგინდება საქართველოს გუნდების საბოლოო შემადგენლობა?**

— ძირითადად რესპუბლიკური სპარტაკიადის შემდეგ (ეს შეჯიბრება მარტიდან ივლისამდე ჩატარდება). სპორტის ტექნიკურ სახეობებში ნაკრები გუნდები თითქმის უკვე ჩამოყალიბებულია და მეცადინეობებიც ტარდება, ვინაიდან საკავშირო სპარტაკიადის ზოგიერთ სახეობაში სტარტები რესპუბლიკური სპარტაკიადის დამთავრებამდე დაიწყება. მაგალითად, საგზაო-ცილო-წრიულ მოტორბოლაში მონაწილენი პირველი ეტაპის შეჯიბრებას 23-25 მაისს რიგაში გამართავენ, ხოლო მეორე ეტაპი ვილიანდში მოეწყობა 30 მაისიდან 1 ივნისამდე (სულ 4 ეტაპია). სხვა სახეობებში შეჯიბრებები ძირითადად ივლის-აგვისტოში ჩატარდება.

● **როგორ გესახებათ რესპუბლიკაში სპორტის ტექნიკური სახეობების შემდგომი განვითარების გზები?**

— საამისოდ პირველ ყოვლისა საჭიროა სპორტული ბაზების ქსელის გაფართოება სკოლებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, იმ ორგანიზაციებს, სადაც 1000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა, საკუთარი სახსრებით ტირების აგების უფლება აქვთ, მაგრამ ამ უფლებას არავინ იყენებს.

აუცილებელია დოსააფის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა მუშაობა გარდაქმნან, ტექნიკურ სახეობებში ჩააბან მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენები, ხშირად გამართონ შეჯიბრებები, განსაკუთრებით, სამხედრო-გამოყენებით მრავალჭიდში, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია.

საჭიროა რესპუბლიკის სპორტტექნიკური კლუბებისა და ავტო-მოტოკლუბების, სამოდელო წრეების ქსელის გაფართოება და მათი აღჭურვა.

## [illegible] ცხენბურთი, მარულა...

ცხაკაიას იპოდრომზე ამას წინათ მოეწყო ამხანაგური შეჯიბრება ცხენოსნობაში: ცხაკაიელები ჩოხატაურელ მხედრებს მასპინძლობდნენ.

ასპარეზობის პროგრამა საინტერესო იყო. დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში ტოლი არ ჰყავდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრს, სპორტის ოსტატ რ. გარუჩავას (ცხაკაია), რომელმაც სულ 3 საჯარიმო ქულა მიიღო. მას 5 ქულით ჩამორჩა თანაგუნდელი რ. თოხოზორია. III ადგილი დაიკავა ჩოხატაურელმა მხედარმა მ. ბერძენიშვილმა.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია შეხვედრამ ცხენბურთში, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 14:6. აქ საუკეთესო იყო გ. ლაშქარავა, რომელმაც 8 ქულა მოუტანა თავის გუნდს.

იმავე გ. ლაშქარავამ თავი გამოიჩინა ცხენბურთში, სადაც მასპინძლებმა სტუმრებს მოუგეს ანგარიშით 11:6. მან 7 ბურთი გაიტანა.

ორკილომეტრიან დოღში ფინიშთან პირველი იყო ჩოხატაურელი მხედარი ვ. ცინცაძე, ვეტერანთა დოღში ყველას აჯობა მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა ვ. როგავამ.

დასასრულ გაიმართა მარულა 6 კილომეტრზე. I ადგილი დაიკავა სოფელ თეკლათის სკოლის VIII კლასის მოსწავლემ დ. ლაშქარავამ. მომდევნო საპრიზო ადგილებზეც მასპინძლები იყვნენ: ა. შუროლაია და ა. კვაშილავა.

ცხაკაიელ სპორტსმენთა მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ვეტერან ცხენოსანს ვ. საბახტარიშვილს.

შეჯიბრების მონაწილენი ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## მოგება, წაგება

**მეხიკო, 16 ოქტომბერი.** მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა I ადგილი დაიკავა მეორე ჯგუფში (მეხიკო). წინასწარი შეჯიბრების ბოლო ტურში მან ანგარიშით 3:0 (15:7, 15:3, 15:9) დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული გუნდი.

ხელი მოეცარა სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებს, რომელიც VI შესარჩევ ჯგუფში (ტოლუკა) თამაშობდა. წინასწარი ტურნირის ბოლო მატჩში იგი პოლონეთის გუნდთან დამარცხდა — 1:3 (13:15, 12:15, 15:5, 9:15).

ნახევარფინალურ ტურნირებში ბრძოლას განაგრძობენ: ქალთა შორის — სსრ კავშირი, პოლონეთი, გდრ, რუმინეთი, უნგრეთი, კუბა, მექსიკა, პერუ, იაპონია, კანადა, აშშ და სამხრეთ კორეა; ვაჟთა შორის — სსრ კავშირი, პოლონეთი, იაპონია, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, გდრ, ბულგარეთი, ბრაზილია, კუბა, ბელგია, მექსიკა და ჰოლანდია.

საქპრესი ტასსის ცნობით





ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

## I ჯგუფი

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „დინამო" (სოხუმი) 1:2. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

დინამოელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ და ცანავამ 24-ე წუთზე გახსნა კიდეც ანგარიში. სტუმრები ასევე განაგრძობდნენ თამაშს შესვენების შემდეგ, რასაც დრაჩის მიერ „მეტალურგის" კარში გატანილი მეორე გოლი მოჰყვა. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლეს ზესტაფონელებმა, თავი დაეღწიათ „მშრალი" ანგარიშით დამარცხებისთვის (ანზ. კიკნაველიძე).

● „განთიადი" (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 3:1. მსაჯი ო. ჯებაშვილი (რუსთავი).

მატჩის პირველ წუთზე პირველი ბურთი გაიტანა თბილისელმა ხოხაშვილმა. ეს გოლი 72-ე წუთზე გაქვითა ქერდიკაშვილმა, მაგრამ შემდგომში იმავე ხოხაშვილმა და ხაჩატურიანმა საბოლოოდ დააწინაურეს „განთიადი".

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — „ვარძია" (ასპინძა) 0:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

გათამაშების აუტსაიდერმა კვლავ სუსტად ითამაშა და მორიგი მარცხი იწვნია. გოლი სპარტაკელთა კარში ჯამმა გაიტანა.

გაფრთხილებულია ასპინძელი ჯ. ლეკიშვილი.

● „ივერია" (ხაშური) — „კოლხეთი" (ხობი) 2:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

ხობელმა ნ. გვასალიამ მე-15 წუთზე შეძლო ბურთის გატანა „ივერიის" კარში. შემდგომში მასპინძლებმა გამოასწორეს მდგომარეობა, კიკაძემ აღადგინა თანაფარდობა, ხოლო ჩაავამ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

● „შუქურა" (ქობულეთი) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

ბურთი მე-7 წუთზე გაიტანა გორგილაძემ.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

„სალხინოს" გამარჯვება მოუტანა ციცხვაიას მიერ 89-ე წუთზე გატანილმა ბურთმა.

● „კახეთი" (თელავი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ტაიმი მოიგეს თელაველებმა (ცირეკიძე). შეხვედრის მეორე ნახევარში „მაღაროელი" საფუძვლიანად დაეუფლა უპირატესობას, ძლიერი შეტევები განავითარა და კაციტაძისა (პენალტი) და მაღრაძის მიერ გატანილი გოლებით გაიმარჯვა.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 5:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

## სსრ კავშირის პირველობა

### გათამაშების ცხრილი

II ლიგა III ზონა

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ბათუმი) | 36 | 20 | 12 | 4 | 53—21 | 52 |
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 35 | 19 | 12 | 4 | 53—23 | 50 |
| „დილა" (გორი) | 36 | 21 | 7 | 8 | 82—36 | 49 |
| „ურალანი" (ელისტა) | 37 | 20 | 7 | 10 | 54—35 | 47 |
| „ისარა" (სმოლენსკი) | 36 | 19 | 8 | 9 | 56—29 | 46 |
| „დინამო" (ვოლოგდა) | 36 | 18 | 10 | 8 | 57—38 | 46 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 36 | 15 | 10 | 11 | 49—34 | 40 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 37 | 15 | 9 | 13 | 58—40 | 39 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 36 | 15 | 9 | 12 | 45—52 | 39 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 36 | 17 | 4 | 15 | 56—49 | 38 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 37 | 15 | 6 | 16 | 46—47 | 36 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 36 | 8 | 17 | 11 | 44—48 | 33 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 36 | 13 | 7 | 16 | 48—59 | 33 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 36 | 11 | 11 | 14 | 41—57 | 33 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 36 | 12 | 6 | 18 | 43—65 | 30 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 36 | 11 | 6 | 19 | 37—49 | 28 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 36 | 10 | 7 | 19 | 32—54 | 27 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 36 | 10 | 3 | 23 | 36—59 | 23 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 36 | 4 | 9 | 23 | 25—72 | 17 |
| „ფოლადი" (რუსთავი) | 36 | 6 | 4 | 26 | 25—72 | 16 |

მეშახტეთა საგრძნობი უპირატესობა აუშტროვის (2), თოდიძისა (2) და ბაბუხადიას გოლებით დაგვირგვინდა. ოჩამჩირელთაგან საპასუხო გოლები გაიტანეს ჭითანავამ და ჩხვირკიამ.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სულორი" (ვანი) 5:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

ლოკომოტიველებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის მსვლელობაში. 2 ბურთი გაიტანა დუდაროვმა, თითო — სანაძემ, დარახველიძემ, ჯაფარიძემ. ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა შეძლო მეფარიშვილმა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ვანელი ვ. ტრაპაიძე, რომელიც მანამდე გაძევებული იყო მინდვრიდან.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღარ." | 29 | 19 | 4 | 6 | 59—18 | 42 |
| „დინამო" | 30 | 15 | 7 | 8 | 56—32 | 37 |
| ასკ | 30 | 15 | 7 | 8 | 61—40 | 37 |
| „სალხინო" | 29 | 13 | 11 | 5 | 46—27 | 37 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 23 | 15 | 6 | 2 | 49—15 | 36 |
| „ლოკ." | 29 | 13 | 9 | 7 | 47—35 | 35 |
| „ივერია" | 29 | 14 | 6 | 9 | 47—30 | 34 |
| ფიზკ. ინსტ. | 27 | 13 | 6 | 8 | 49—38 | 32 |
| „მეტალურგი" (ზესტაფ.) | 29 | 11 | 8 | 10 | 44—40 | 30 |
| „ამირანი" | 29 | 12 | 6 | 11 | 33—35 | 30 |
| „შუქურა" | 30 | 10 | 9 | 11 | 36—31 | 29 |
| „კახეთი" | 30 | 11 | 7 | 12 | 45—48 | 29 |
| „ქართლი" | 29 | 11 | 6 | 12 | 51—50 | 28 |
| „მეშახტე" | 30 | 11 | 6 | 13 | 41—51 | 28 |
| „კოლხეთი" | 30 | 8 | 10 | 12 | 36—45 | 26 |
| „განთიადი" | 30 | 7 | 8 | 15 | 36—53 | 22 |
| „ვარძია" | 30 | 9 | 4 | 17 | 30—49 | 22 |
| „ივერია" | 29 | 7 | 4 | 18 | 29—60 | 18 |
| „სულორი" | 30 | 6 | 6 | 18 | 29—82 | 18 |
| „სპარტაკი" | 30 | 4 | 4 | 22 | 29—74 | 12 |

## II ჯგუფი

### I ზონა

„სამცხე" (ახალციხე) — „კოლმეურნე" (ბორჯომი) 3:3, „მადნეული" (ბოლნისი) — „არაგვი" (დუშეთი) 4:3, „ალაზანი" (გურჯაანი) — „ყინწვისი" (ქარელი) 1:0, „პერეთი" (ლაგოდეხი) — „განთიადი" (კასპი) 1:3. ყვარლის „დურუჯს" მოგება ჩაეთვალა ახალციხის „მესხეთთან".

### II ზონა

„კოლმეურნე" (წულუკიძე) — „სამგურალი" (წყალტუბო) 6:2, ხის დამუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ჩიხურა" (საჩხერე) 4:0, „განთიადი" (აბაშა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1, „გიგანტი" (ლაითური) — „კოლმეურნე" (გულრიფში) 8:0, „იმერეთი" (თერჯოლა) — „მზიური" (გალი) 6:1, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:1.

## იწყება ფინალური გათამაშება

19 ოქტომბერს იწყება ზონალურ გათამაშებებში გამარჯვებული გუნდების ფინალური შეხვედრები. იმ დღეს ჭიათურაში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი და ბათუმის „მშენებლის" გუნდები. 20 ოქტომბერს მცხეთის „არაგვი" მიიღებს წალკის „თრიალეთს", ხოლო საგარეჯოს „პოლიტექნიკოსი" — ახმეტის „ქიმიკოსს".

## სიყალბე

ჩვენი გაზეთის 10 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრათა ანგარიშები. გორის რაიონის „ქართლისა" და გეგეჭკორის „სალხინოს" მატჩის ანგარიშში ეწერა, რომ „სალხინოს" ერთ-ერთ მოთამაშეს ფეხი გაარტყა მარტინენკომ, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს. ასე იყო ჩაწერილი შეხვედრის ოქმში.

მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს სიყალბეა და ოქმში იგი ჩაწერა... თვით მატჩის მსაჯმა, ქუთაისელმა დ. ბუთიძემ. მარტინენკოს მსაჯი მინდვრიდან ვერ გააძევებდა თუნდაც იმ უბრალო მიზეზით, რომ მას ამ მატჩში არ უთამაშია. გააძევეს სხვა გორელი მოთამაშე, კერძოდ, მარღიშვილი.

რატომ მოხვდა მარტინენკოს გვარი ოქმში მარღიშვილის ნაცვლად? საქმე უბრალოდ იხსნება: მარღიშვილი ანალოგიური ხულიგნური საქციელისთვის მანამდე უკვე იყო გაძევებული მინდვრიდან და ხელმეორე ასეთივე სასჯელისთვის ეკრძალებოდა შემდგომ თამაშებში მონაწილეობის მიღება. აი, ამიტომ გაჩნდა უდანაშაულო მარტინენკოს გვარი დამნაშავე მარღიშვილის ნაცვლად.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ დ. ბუთიძეს აეკრძალა წლის ბოლომდე მსაჯობა, ხოლო მის საკითხს დამატებით განიხილავს მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგია.







სპორტულ ტანვარჯიშში რეკორდი დაამყარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. ტურიშჩევამ, რომელმაც მეხუთედ მოიპოვა სსრ კავშირის თასი. ახლა ეს საპატიო პრიზი შესანიშნავ როსტოველ სპორტსმენს სამუდამოდ გადაეცა.

• • •

სურათებზე: ტურიშჩევა სსრ კავშირის თასით ხელში; ჩემპიონი საოცრად მსუბუქად და ზუსტად ასრულებს რთულ ელემენტს ძელზე.

ვ. გალაკტიონოვის ფოტოები.

## ილბლიანი ტირაჟები

სპორტული ლატარიის განვლილი ტირაჟები იღბლიანი გამოდგა ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთათვის. მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ლ. მალაზონიამ „სპორტლოტო-2"-ის ტირაჟში ხუთი ნომერი გამოიცნო და 2394 მანეთი მიიღო. ოთხი წლის თბილისელი გოგონას ნათელა ჯიჯეიშვილის მშობლებმა გადაწყვიტეს ბავშვს „ბედობილეთ" და მას შეავსებინეს ბილეთი. ნათელამ ხუთი ნომერი გამოიცნო და 1664 მანეთი მოიგო.

სისტემატურად თამაშობს „სპორტლოტოს" სოხუმის რაიონის სოფელ შრომის ფოსტალიონი ი. ქარდავა. 26-ე ტირაჟში მან 2991 მანეთი მოიგო. იმავე ტირაჟში წარმატებით ითამაშეს თბილისელებმა მ. ნანობაშვილმა და ქ. დანილოვმა. პირველმა „სპორტლოტო-2"-ის ტირაჟში 2101 მანეთი მოიგო, მეორემ — „სპორტლოტოში" — 2991 მანეთი.

წლევანდელ მე-10 ტირაჟში „ხუთოსანთა" რიცხვში მოხვდა ზუგდიდის რაიონის ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი მ. კვამპალიანი, რომელმაც 1622 მანეთი მოიგო. 27-ე ტირაჟში მან კვლავ ხუთი ნომერი გამოიცნო და 1136 მანეთი მიიღო. ასეთივე თანხა მოიგეს თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის IV კურსის სტუდენტმა ნ. ჯაგვაძემ, თბილისის № 4 მექანიკური ქარხნის ელექტრომონტიორმა გ. ზაიცევმა და თბილისელმა დიასახლისმა ნ. აგანიანმა. ზუგდიდის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მუშაკს ე. კოხრეიძეს „ორმაგად" გაუღიმა ბედმა: მან ორი ბილეთი ერთნაირად შეავსო და სულ 2272 მანეთი მიიღო.

წინ არის ახალი ტირაჟები, ახალი მოგებები.

**გ. გამილაღდიშვილი,**
„საქსპორტლოტოს" სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

## ვარნაში...

ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში გაფრინდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები, რომლებიც იქ მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებენ. სსრ კავშირის ქალთა ნაკრების შემადგენლობაში არიან: ლ. ტურიშჩევა (დონის როსტოვი), ო. კორბუტი (გროდნო), ე. საადი (მოსკოვი), ნ. კიმი (ჩიმკენტი), რ. სიხარულიძე (ბათუმი), ნ. დრონოვა (თბილისი), აგრეთვე, სათადარიგო წევრები ს. გროზდოვა (დონის როსტოვი) და ლ. გორბიკი (მინსკი).

გუნდის უფროსი მწვრთნელია ლ. ლატინინა.

ვაჟთა კოლექტივში შევიდნენ: ნ. ანდრიანოვი (ვლადიმირი), გ. კლიმენკო (მოსკოვი), პ. შამუგია (თბილისი), ვ. მარჩენკო (გროზნო), ე. მიქაელიანი (ერევანი), ა. მალეევი (მინსკი), აგრეთვე, სათადარიგო წევრი გ. საფრონოვი (ლვოვი).

ვაჟთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია ლ. არკაევი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატში (1970 წ. ლიუბლიანა) ზემოდასახელებულ ტანმოვარჯიშეთაგან მხოლოდ ტურიშჩევა და კლიმენკო ასპარეზობდნენ.

ჩემპიონატი საზეიმოდ გაიხსნება 20 ოქტომბერს. შეჯიბრების პირველი დღეა 21 ოქტომბერი. 27 ოქტომბერს პირველობა საზეიმოდ დაიხურება.




# შულმა ტემპს უმატა

XIV ტურში, რომელიც გუშინწინ გაიმართა, სსრ კავშირის XXXIII ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა მ. შულმა (ლვოვი) ზედიზედ მესამე პარტია მოიგო.

ესტონელი მ. სამული ამ ბოლო ხანს საგრძნობლად დაწინაურდა. მან სოფლის მოჭადრაკე ქალთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონის სახელიც დაისაკუთრა. სამული აქტიური სტილით თამაშობს, უყვარს იერიში, კომბინაცია. ამიტომ მასთან თამაში დიდ სიფრთხილესა და წინდახედულებას მოითხოვს. ესტონელმა ოსტატმა შულთანაც თავიდანვე იერიშის გაშლისთვის იზრუნა, რასაც პარტიაში გათამაშებული სიცილიური დაცვის სტრატეგიაც უწყობს ხელს.

სამული თავგამოდებით ცდილობდა შეერყია მეტოქის დაცვა. მან ჯერ პაიკები მიუსია მეფის ფრთას, მერე ბრძოლაში ეტლი და კუ ჩააბა, მაგრამ მეტოქე უდრეკად იდგა. სამულმა მხედარი შესწირა, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწია. შული ინიციატივას თავად დაეუფლა და 24-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ახლა ლვოველი ოსტატი ერთპიროვნული ლიდერის ე. ფატალიბეკოვას (მოსკოვი) ერთ-ერთი სერიოზული მოცილეა. მაგრამ ფატალიბეკოვაც არ ცხრება. ამჯერად მან ა. კისლოვას (ომსკი) დიდი ომი გაუმართა. როცა ფატალიბეკოვამ ცენტრში ძლიერი გამსვლელი პაიკი მიიღო, ეჭვი არავის შეეპარვია, რომ ამ უპირატესობას იგი კიდევ ერთ ქულად აქცევდა. მან თანდათან დაუცხრილა კისლოვას დამცველი ფიგურები და მეორე გამსვლელი პაიკიც აამოძრავა. კისლოვამ ხარისხის შეწირვით მოახერხა წინააღმდეგობის გამძაფრება და პარტია გადადო. ერთპიროვნულ ლიდერს გამარჯვების მისაღწევად მხოლოდ ტექნიკური სიძნელეების დაძლევა დასჭირდება.

ფინიშზე მ. ჩიბურდანიძე დიდი ხალისით თამაშობს. სსრ კავშირის თასის მფლობელ მ. რანიკუს XIV ტურში მისი სახით საშიში მეტოქე ჰყავდა.

— როგორ ატყობთ, შარშანდელთან შედარებით უკეთ თამაშობს მაია? — მკითხა ჩიბურდანიძის მწვრთნელმა, ოსტატმა მ. შიშოვმა და თავადვე უპასუხა ამ შეკითხვას, — შედარება არ არის: დაუკვირდით, რა თავისუფლად, ენერგიულად უტევს.

მართლაც, მაია ოსტატურად ავვითარებდა ინიციატივას. რანიკუმ ბელორუსიელი ოსტატის ვერსიისთვის ნაკლებად ცნობილი დებიუტი გამოიყენა, რათა გამოუცდელი მეტოქე დაებნია, მაგრამ მოტყუვდა. ჩიბურდანიძე საგანგებოდ მოემზადა მის წინააღმდეგ, რადგან იცოდა, რომ რანიკუ ზოგჯერ ამ დებიუტს მიმართავს.

საოცარი ის იყო, რომ, რომელ სვლასაც მე და შიშოვი ვივარაუდებდით, პატარა მაიაც იმას აკეთებდა. მწვრთნელმა მიამბო, რომ ტურნირამდე მოჭადრაკე გოგონა გულდასმით სწავლობდა წარსულის გამოჩენილი მოჭადრაკეების — ამერიკელი პ. მორფისა და ფრანგი ლ. ლაბურდონეს შემოქმედებას. ამ დიდ ხელოვანთა პარტიებში ბევრი რამ არის საგულისხმო ახალგაზრდა, მზარდი მოჭადრაკისთვის.

რანიკუ უაღრესად ზუსტი სვლებით იგერიებდა მუქარას, მაგრამ სიძნელეებს თავი მაინც ვერ დააღწია. მან თამაში ლაზიერების ენდშპილში გადაიყვანა და პარტია გადადო. შეწყვეტილ პოზიციაში ესტონელ ოსტატს პაიკი აკლია და ყაიმის მისაღწევად ბრძოლა დასჭირდება.



კარგი პოზიციური პარტია შექმნა საქართველოს ჩემპიონმა ც. კობაიძემ ტ. ფომინასთან (ტალინი) შეხვედრაში. როცა ციურის ორი მხედარი ორი კუს წინააღმდეგ დარჩა, მან პოზიცია ჩაკეტა და მხედრებს მოქმედების ვრცელი ასპარეზი გადაუშალა, მერე მეტოქის ბანაკში ეტლებით შეიჭრა. მოახლოებულ ცაიტნოტში ფომინა შეცდა და ფიგურას გამოეთხოვა. მან პარტია გადადო, მაგრამ ალბათ თამაშის განუახლებლად დათმობს მას.

გადაიდო რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი) — თ. ხუგაშვილის პარტიაც. თბილისელ ოსტატს რთულ ენდშპილში პაიკით ნაკლები აქვს.

ოსტატობის კანდიდატებისთვის ოსტატის ნორმად 11 ქულაა დაწესებული. ამ მაღალ თანრიგზე თვალი ეჭირა ბელორუსიის ჩემპიონს, 20 წლის ტ. კოსტინას, მაგრამ ე. ბახრეხთან (მოსკოვი) მან მოულოდნელად წააგო და ახლა ნორმატივის შესრულება გაუჭირდება. კოსტინას 6,5 ქულა აქვს, დარჩენილ ხუთ პარტიაში კი 4,5 ქულის მოგროვება არც ისე ადვილია.

მძაფრი იერიშით ლ. მულენკომ (ზაპოროჟიე) მოუგო ტ. პოპოვას (მოსკოვი), ა. გრინფელდმა (კალინინგრადი) — თ. გოლოვეის (მინსკი). მხედრების თანაბარ ენდშპილში გადაიდო ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) — ტ. მოროზოვას (ლვოვი) პარტია.

14 ტურის შემდეგ ე. ფატალიბეკოვას 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, მ. რანიკუს — 9 (1), მ. შულს — 8,5, ვ. კოზლოვსკაიას — 8, მ. ჩიბურდანიძეს, ც. კობაიძეს — 7-7 (1-1).

**თ. გიორგაძე.**

• • •

სურათზე: მოსკოვის ჩემპიონი ე. ფატალიბეკოვა.

ა. კავკასიძის ფოტო.

# ლიდერებს თავკაცობს ჭაბუკთა ჩემპიონი

ოდესაში გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა 42-ე საჭადრაკო ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი. 7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ა. ბელიავსკი (ლვოვი) — 5 ქულა, ოსტატები მ. დვორეცკი (მოსკოვი), უკრაინის ჩემპიონი ლ. ალბურტი (ოდესა) — 4,5-4,5, დიდოსტატი დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ოსტატი კ. ლერნერი (ოდესა) — 4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია, დიდოსტატი ი. ბალაშოვი (მოსკოვი) — 4.

გთავაზობთ პირველ სამ ტურში გადადებული პარტიების დამთავრებისა (თვით ტურების შესახებ იხ. „ლელოს“ 10 ოქტომბრის ნომერი) და მომდევნო ოთხი (IV, V, VI, VII) ტურის შედეგებს.

I ტურიდან გადადებულ პარტიებში ვ. ცეშკოვსკიმ (ომსკი) მოუგო ბელიავსკის, ო. რომანიშინმა (ლვოვი) — ი. კლოვანს (რიგა). ყაიმით დამთავრდა ვ. სავონ (ხარკოვი) — ი. რაზუვაევის (მოსკოვი) შეხვედრა.

II ტურში მხოლოდ ალბურტ — სავონის პარტია გადაიდო. იგი პირველმა მოიგო. III ტურიდან გადადებულ პარტიებში ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) დამარცხდა ლერნერთან, მ. პოდგაეცი (ოდესა) — ბელიავსკისთან. კვლავ დაუმთავრებელია კლოვან — ნ. რაშკოვსკის (კურგანი) პარტია.

IV ტურში ბალაშოვმა მოუგო პოდგაეცს, კუპრეიჩიკმა — სავონს, ბრონშტეინმა — ვ. ჟურავლიოვს (კალინინგრადი), ბელიავსკიმ — რაზუვაევს. ყაიმზე შეთანხმდნენ ცეშკოვსკი — კლოვანი, ავერკინი — რაშკოვსკი, ლერნერი — რომანიშინი, დვორეცკი — ტუკმაკოვი, სმისლოვი — ალბურტი.

V ტურში ლერნერმა დაამარცხა ჟურავლიოვი, სავონმა — რომანიშინი, დვორეცკიმ — კუპრეიჩიკი, ბელიავსკიმ — ბალაშოვი. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ცეშკოვსკი — ავერკინი, პოდგაეცი — კლოვანი, ბრონშტეინი — რაშკოვსკი, სმისლოვი — ტუკმაკოვი, რაზუვაევი — ალბურტი.

VI ტურში ავერკინმა სძლია პოდგაეცს, კლოვანმა — ბალაშოვს, რაზუვაევმა — ტუკმაკოვს. დაზავდნენ: ბრონშტეინი — ცეშკოვსკი, რაშკოვსკი — ლერნერი, ჟურავლიოვი — სავონი, რომანიშინი — დვორეცკი, კუპრეიჩიკი — სმისლოვი, ბელიავსკი — ალბურტი.

VII ტურში მხოლოდ ოთხი შეხვედრა დამთავრდა: ბელიავსკიმ მოუგო კლოვანს, ბალაშოვმა — ავერკინს, ხოლო სავონ — რაშკოვსკი და დვორეცკი — ჟურავლიოვი ყაიმზე შეთანხმდნენ.




## „გენერალი მილიანიჩი“

ულ ცოტა ხანია, რაც იუგოსლავიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მილიანიჩი მადრიდის „რეალს“ ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მან უკვე მოიპოვა დიდი პოპულარობა ესპანეთში. მწვრთნელმა „რეალის“ დირექტორატს აღუთქვა თამაშის მკვეთრი გაუმჯობესება და სათანადო ნაბიჯები გადადგა კიდეც.

ახლა მილიანიჩს „გენერალ მილიანიჩს“ უწოდებენ სპორტული ჟურნალისტებიცა და გულშემატკივრებიც.

### საჩხერე

საშუალო სკოლების ფეხბურთელთა 16 გუნდი მონაწილეობდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში. წაუგებლად იასპარეზა საჩხერის შ. რუსთველის სახელობის საშუალო სკოლის გუნდმა. II და III ადგილებზე გავიდნენ გორისისა და საირხის გუნდები. პრიზიორები კომკავშირის რაიკომისა და განათლების განყოფილების სიგელებით დაჯილდოვდნენ.

**ა. ანასაშვილი.**

# სპორტსმენთა საჩუქარი

ოქროს ჯილდომ, რომელიც რომის ევროპის ჩემპიონატში სიმაღლეზე სარეკორდო ნახტომისთვის (195 სმ) გადასცეს როზემარი ვიტჩასს, უფრო ძვირფასი გახადა საჩუქარი, რომელიც გდრ-ის სპორტსმენებმა მიუძღვნეს თავიანთს სოციალისტურ გერმანულ სახელმწიფოს დაარსების 25 წლისთავის აღსანიშნავად. ვიტჩასის მედალი რიცხვით 1802-ეა გერმანელი ათლეტების მიერ გდრ-ის არსებობის 25-წლიანი ისტორიის მანძილზე მოპოვებულ ჯილდოებში.

რამდენიმე სტებდი დასჭირდებოდათ იმისთვის, რომ გამოეფინათ ოლიმპიური თამაშებიდან, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებიდან ჩამოტანილი ეს „სიმდიდრე“: 574 ოქროს, 597 ვერცხლისა და 631 ბრინჯაოს მედალი.

მსოფლიოს სტადიონებზე გდრ-ის სპორტსმენთა ტრიუმფული სვლა დაიწყო მექსიკაში 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, უკვე მაშინ თავიანთი სახელმწიფოს დროშით გამოსულმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსნებმა პროგრამის ცხრა სახეობაში იმარჯვეს.

მხოლოდ გდრ-ის ოლიმპიელთა „ყულაბაში“ 163 მედალია. თანაც, ამ ჯილდოების თითქმის ნახევარი (66) ორი წლის წინათ, მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებშია მოპოვებული. მიუნხენის ოლიმპიადის შედეგებმა დასავლეთის ქვეყნების ბევრი სპეციალისტი გააკვირვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღეს გდრ-ის სპორტსმენებს მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავიათ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში სამუდამოდაა ჩაწერილი ისეთი სპორტსმენების სახელები, როგორიც არიან ველომრბოლელი გუსტავ ადოლფ შური, „ტრამპლინების მეფე“ ჰელმუტ რეკნაგელი, ჭოკით მხტომელი ვოლფგანგ ნორდვიგი. მათ, ისევე როგორც რენატა შტეჰერს, კორნელია ენდერს, როლანდ მათესს, გდრ-ის ახალგაზრდობას შორის ჰყავთ მილიონობით თაყვანისმცემელი, რომლებიც თავიანთი კერპების მსგავსად სპორტული ოსტატობის მწვერვალების დაპყრობაზე ოცნებობენ.

დიდი წარმატებები ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში — ეს პირველ ყოვლისა გდრ-ის ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის შედეგია. მარტო გერმანული სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირი დღეს 2,4 მილიონ წევრს აერთიანებს, თუ არ ჩავთვლით, უბრალოდ, სპორტის მოყვარულების მრავალმილიონიან არმიას.

ახალგაზრდობის ფიზიკურ განვითარებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში უდიდესი ყურადღება ექცევა და ეს გერმანიის სოციალისტური გაერთიანებული პარტიის, გდრ-ის მთავრობის მზრუნველობის შედეგია.

გდრ-ის სპორტსმენები ახალი სტარტებისა და ახალი გამარჯვებების მოლოდინში არიან.

**ნ. ბაბიკინი,**
(საქდესის კორ.).
ბერლინი.

## ოლიმპიურ ტრასებზე

მეხიკო, 16 ოქტომბერი. 25 სახელმწიფოს ნიჩბოსნებმა მოიყარეს თავი სოჩიმილკოს არხზე, სადაც დღეს ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში XIV მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება. შეჯიბრებაში 275 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას.

მოასპარეზეთა უმრავლესობა მეხიკოში დროულად ჩამოვიდა, რათა სასიმაღლო და დროის აკლიმატიზაცია გაევლო — ყველას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს სიძნელეები, რომლებიც 1968 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს გადახდათ.

საკონტროლო საწვრთნელი მეცადინეობების შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმაღლესი ტიტულებისთვის პირველ ყოვლისა სსრ კავშირის, გფრ-ის, გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთისა და პოლონეთის ნიჩბოსნები იბრძოლებენ. ცალკეულ კლასებში კარგად გამოდიან ავსტრალიის, ბელგიის, ესპანეთის, მექსიკის, საფრანგეთისა და იტალიის ეკიპაჟები.

შეჯიბრების გახსნას წინ უძღოდა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი. ამ საზოგადოებაში შემავალი ქვეყნების რიცხვი 29-მდე გაიზარდა. გადაწყდა მსოფლიოს 1975 წლის ჩემპიონატი იუგოსლავიაში გაიმართოს, 1977 წლისა — ბულგარეთში, 1978 წლისა — კანადაში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისი სპორტულ ვიზიტი

ველოსპორტი. ცენტრალური ველოტრეკი. სსრ კავშირის თასის გათამაშება და საერთაშორისო შეჯიბრება: „თბილისის 6 დღე“. 17 ოქტომბერი. წყვილთა რბოლები (VII და VIII ეტაპები), ვაჟთა და იუნიორთა სპრინტის ფინალები. წყვილთა 100-წრიანი რბოლის ფინალი (იუნიორები). 18 ოქტომბერი. წყვილთა რბოლა (IX და X ეტაპები). დასაწყისი 10 ს. 30 წთ. და 15 ს.

**საქართველოს ალპური კლუბი ა. წ. 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე ატარებს მთამსვლელ-ინსტრუქტორთა რეგისტრაციას.**

ყველა მთამსვლელი-ინსტრუქტორი ვალდებულია გამოცხადდეს საქართველოს ალპურ კლუბში (ლენინის ქ. № 87), წარმოადგინოს ინსტრუქტორის მოწმობა და რეგისტრაციაში გატარდეს.

მთამსვლელ-ინსტრუქტორებს, რომლებიც რეგისტრაციას არ გაივლიან, ჩამოერთმევათ ინსტრუქტორის წოდება და არ იქნებიან დაშვებული საწვრთნელ სამუშაოზე.

**საქართველოს ალპური კლუბი.**



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14167